პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 228 (6283) 22 ნოემბერი. ოთხშაბათი. 1978 წ. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან



„დინამოს" ღია პირველობა

•

# ექვსთა ტურნირი

დღეს თბილისის სპორტის სასახლეში იწყება სპორტსაზოგადოება „დინამოს" ცენტრალური საბჭოს ტრადიციული ჩემპიონატი. ამჯერად იგი ღია შეჯიბრების ხასიათს ატარებს და მოსკოვის, თბილისისა და ჩელიაბინსკის დინამოელთა გუნდებთან ერთად სპორტის მოყვარულები იხილავენ კიდევ 3 გუნდს — მინსკის რტი-ს, რიგის ვეფ-ს და ტალინის „კალევს".

თბილისში ჩამოსვლამდე მოსკოვის „დინამოს" კალათბურთელთა გუნდმა ტაილანდში რამდენიმე საერთაშორისო მატჩი ჩაატარა. დინამოელებმა ადვილად დაამარცხეს მოწინააღმდეგეები. გუნდის ღირსებას კვლავ წარმატებით იცავენ ვეტერანები ა. ბოლოშევი, ა. ხარჩენკო, გ. ჟიგილიი. მათ მხარს უბამენ ახალგაზრდები ა. გონჩაროვი, ი. ფიდორინოვი, ა. აგაპეევი, ნ. ფესენკო. ამ უკანასკნელმა განსაკუთრებით ძლიერად ითამაშა გასულ სეზონში. ჟურნალისტები მოსკოვის „დინამოს" სავსებით სამართლიანად თვლიან განწყობილების გუნდად. მისთვის დამახასიათებელია უაღრესად არასტაბილური თამაში. მოსკოვის დინამოელებს შეუძლიათ დაამარცხონ აღიარებული ფავორიტი და სრულიად მოულოდნელად დამარცხდნენ აუტსაიდერთან. მიუხედავად ამისა, ეს კოლექტივი ტურნირში გამარჯვების ერთ-ერთ სერიოზულ ფავორიტად უნდა ჩაითვალოს.

ტარტუს „კალევმა" საბჭოთა კალათბურთის ისტორიაში საკმაოდ ღრმა კვალი დატოვა. ეს იყო ჩვენი კალათბურთის ერთ-ერთი ყველაზე მაღალტექნიკური გუნდი. ალბათ „სტაჟიან" მოყვარულებს კარგად ახსოვთ ილმარ კულამისა და ივან ლისოვის ტექნიკური, საზრიანი თამაში. უფრო ახალგაზრდებს ალბათ ემახსოვრებათ პრიტ ტომპსონის ფილიგრანული ტექნიკა და ზუსტი ტყორცნები, იაკ ლიპსოს უაღრესად კარგი თამაში. მაგრამ ეს თავისებური გუნდი უკანასკნელ წლებში სუსტად გამოდის. რამდენიმე სეზონია ავადმყოფობს „კალევის" ერთ-ერთი წამყვანი კალათბურთელი იაკ სალუმეტსი. ამავე მიზეზით გასული ჩემპიონატის რამდენიმე მატჩი გამოტოვეს გამოცდილმა ა. ტამისტემ და ახალგაზრდა მ. ტიქსმა. სპორტული რეჟიმის უხეში დარღვევისთვის გუნდიდან გაირიცხა ვეტერანი ა. კრიკუნი. მაგრამ „კალევის" წარუმატებლობის მიზეზები მარტო ეს როდია. როგორც ცნობილია, „კალევი" დიდი ხნის განმავლობაში თამაშობდა ცენტრის გარეშე, რაც იმით იყო გამოწვეული, რომ გუნდს არ ჰყავდა ტანმაღალი კალათბურთელები. ამიტომ „კალევში" ამინდს უკანა ხაზის მოთამაშეები ქმნიდნენ. „კალევის" ძალაც სწორედ უკანა ხაზის კალათბურთელთა თამაშში გახლდათ. უკანასკნელ ხანებში „კალევი" შეივსო ტანმაღალი კალათბურთელებით — რაშიდ აბელიანოვითა (205 სმ) და ვიქტორ ვიქტოროვით (206 სმ). ერთი შეხედვით, „კალევი" სწრაფი აღმავლობის გზას უნდა დადგომოდა, მაგრამ მოხდა პირიქით: „კალევის" თამაშმა უწინდელი სილამაზე დაკარგა.

თბილისში ჩამოსვლამდე „კალევი" მონაწილეობდა ესტონეთის ქალაქ პიარნუში გამართულ ტურნირში. აქ „კალევმა" მესამე ადგილი დაიკავა — დამარცხდა ლენინგრადის „სპარტაკთან" (94—107) და მინსკის რტი-სთან (83—92). პიარნუს ტურნირი „კალევისათვის" კარგი სკოლა იყო. ტარტუელთა შორის თბილისელები იხილავენ, აგრეთვე, ახალი თაობის წარმომადგენლების — თულო ვარუილის, მიგელ ტიქსის, ანდრის სიბერისის, ტიმის რანდალას თამაშს.

შარშანდელ სეზონში რიგის ვეფი კვლავ დაუბრუნდა უმაღლეს ლიგას და უმალ კალათბურთის გულშემატკივართა და სპეციალისტთა პატივისცემა დაიმსახურა. გუნდის წარმატება მჭიდროდ არის დაკავშირებული ახალგაზრდა მწვრთნელის არმანდ კრაულინის სახელთან. ვეფ-ს, როგორც მომხილველები აღნიშნავენ, საკმაოდ გრძელი სათადარიგო სკამი აქვს. ეს კი საშუალებას აძლევს გუნდის ხელმძღვანელობას განახორციელოს მთელი რიგი ტოლფასოვანი შეცვლები. მოკლედ, გუნდი თანაბარი ძალის კალათბურთელე-

(დასასრული მე-4 გვ.)

# ამჯერად მესამე ადგილზე

## ჭიდაობა

ახლა, როცა სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადის დაწყებამდე თვეებიღა რჩება, ყველა რესპუბლიკური თუ საკავშირო მნიშვნელობის სპორტული შეჯიბრება საბჭოთა სპორტის ამ უდიდესი ფორუმისთვის მზადების ერთგვარ ეტაპად წარმოგვიდგება.

თავისუფალ ჭიდაობაში საბჭოთა კავშირის თასის ახლახანს დამთავრებული გათამაშების შედეგები უკვე მწვრთნელებისა და სპეციალისტების მსჯელობის საგანი გახდა.

როგორია ამა თუ იმ კოლექტივის შესაძლებლობანი და პერსპექტივები? როგორ გამოიყურებიან ფავორიტები სადღეისოდ? რა სიახლეებია ნაკრები კოლექტივების მზადებაში? სწორედ ამ და სხვა კითხვებზე გასცა პასუხი საკავშირო თასის გათამაშებამ თავისუფალ ჭიდაობაში, რომელიც 18-20 ნოემბერს ალმა-ათაში გაიმართა.

მსგავს შეჯიბრებებში ჩვენი რესპუბლიკის ფალავნები ყოველთვის წარმატებით გამოდიოდნენ და შიგაღ თასით ხელდამშვენებულნი ბრუნდებოდნენ შინ, ან კიდევ საპრიზო ადგილებს იკავებდნენ. ამჯერად საქართველოს ნაკრებმა უკრაინისა და რუსეთის ფედერაციის კოლექტივების შემდეგ III ადგილი დაიკავა. ვფიქრობთ, „ლელოს" მკითხველებისთვის ინტერესმოკლებული არ იქნება რესპუბლიკის ნაკრების უფროსი მწვრთნელის **მარლენ ოსიყმაშვილის** ნაამბობი:

— **საქართველოს** თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრები თასის წლევანდელი გათამაშებისთვის მზადებას საკმაო ხნის წინათ შეუდგა. გუნდში გამოცდილ მოჭიდავეებთან ერთად ბევრი ახალგაზრდა სპორტსმენიც მოვიწვიეთ. ასეთი გადაწყვეტილება შემთხვევით არ მიგვიღია, — წინ ხომ სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადაა და თუ შეიძლება ასე ითქვას, ჩვენი გუნდის მზადების მაგისტრალური ხაზი სწორედ იქითკენაა მიმართული, რომ ყოველმხრივ მომზადებულნი შევხვდეთ ამ კომპლექსურ ღონისძიებას. ახლა საქართველოს თავისუფალი სტილით მოჭიდავეებს თაობათა ცვლის პროცესი დაუდგათ. რესპუბლიკის ნაკრებ გუნდში ადგილის დასამკვიდრებლად ბევრი ახალგაზრდა ფალავანი აცხადებს პრეტენზიას. სწორედ ამიტომ ზოგიერთ მათგანს შესაძლებლობა მიეცით საკავშირო თასის გათამაშებაში მოესინჯა ძალა და გამოცდილება შეეძინა.

ალმა-ათაში ჩვენი ქვეყნის 8 ძლიერესმა კოლექტივმა მოიყარა თავი. გუნდები ორ ქვეჯგუფად დაიყო. ქვეჯგუფებში გამარჯვებულები საპატიო თასის მოსაპოვებლად ფინალში ხვდებოდნენ ერთმანეთს. სპეციალისტების საერთო აზრით, ასპარეზობის ფავორიტებად რსფსრ-ს, უკრაინისა და საქართველოს გუნდები ითვლებოდნენ. გადამწყვეტ შეხვედრაში ერთმანეთის პირისპირ სწორედ რუსეთის ფედერაციისა და უკრაინის კოლექტივები დადგნენ. უკრაინელმა მოჭიდავეებმა შესაშური ფიზიკური და ტექნიკური მომზადება გამოავლინეს და დამსახურებული გამარჯვება მოიპოვეს რსფსრ-ს ნაკრებთან, რომლის შემადგენლობაში უძლიერესი ფალავნები — მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატებში გამარჯვებულები გამოდიოდნენ.

ჩვენმა გუნდმა პირველი შეხვედრა მოლდავეთის ნაკრებთან ჩაატარა და დამაჯერებლად გაიმარჯვა (24:16), შემდეგ საკმაო უპირატესობით სძლია ბელორუსიის კოლექტივს (29:11). ქვეჯგუფში ბოლო შეხვედრაში ქართველ ფალავნების მეტოქე უკრაინის გუნდი იყო. გამარჯვების შემთხვევაში ფინალში გავდიოდით. სამწუხაროდ, ჩვენმა ბიჭებმა ბრინციპული ორთაბრძოლები შედარებით სუსტად ჩაატარეს, მარცხი განიცადეს — 15:25 და საბოლოოდ III ადგილზე გავიდნენ. მიუხედავად ამისა, რესპუბლიკის ნაკრების ბევრმა წევრმა კარგი შთაბეჭდილება დატოვა. განსაკუთრებით აღსანიშნავია სოხუმელი ფალავნის გია ყურაშვილის წარმატება, რომელმაც ალმა-ათის სარბიელზე ყველა ორთაბრძოლა მოიგო და გააზრებული, ტექნიკური ჭიდაობით სპეციალისტების საერთო მოწონება დაიმსახურა. მთელი ტურნირი დაუმარცხებლად განვლეს, აგრეთვე, ნოდარ მოდებაძემ, მალხაზ მერმანიშვილმა და ნარიმან ჯაფაროვმა.

იანვარში ჩვენი მოჭიდავეები კიდევ ერთ დიდ შეჯიბრებაში მოსინჯავენ ძალებს — თბილისში გაიმართება ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი, სადაც ჩვენი პლანეტის საუკეთესო ფალავნები იასპარეზებენ. ამ შეჯიბრების შემდეგ საბოლოოდ დაკომპლექტდება საქართველოს თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრები გუნდი, რომელიც გააგრძელებს მზადებას სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადისთვის.



მთავარი გამოცდა — სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადა

**პ. ბელაშვილი,**
**სპორტის ოსტატი, საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის საზოგადოებრივი პროფესიების ფაკულტეტის სპორტული ჟურნალისტიკის განყოფილების სტუდენტი.**

## რეგბი

პოლონეთის ქალაქ ლიუბლინში გაიმართა ევროპის მორიგი ჩემპიონატის კალენდარული შეხვედრა. ჩვენი ქვეყნის რეგბისტთა ნაკრებმა დაამარცხა რუმინეთის გუნდს, რომელიც კონტინენტის სამგზის ჩემპიონია. მასპინძლები დამარცხდნენ — 9:30 (9:16). ახლა გათამაშებას ოთხი ქულით ლიდერობენ საბჭოთა სპორტსმენები, რომლებმაც ორი შეხვედრა ჩაატარეს. 3-3 ქულა აქვთ საფრანგეთისა და რუმინეთის რეგბისტებს, ოღონდ მათ ჯერჯერობით თითო მატჩი ითამაშეს.

საბჭოთა სპორტსმენები კონტინენტის ჩემპიონატის მორიგ შეხვედრებს მაისში გამართავენ, ხოლო რუმინეთისა და საფრანგეთის გუნდები 3 დეკემბერს ბუქარესტში ერთმანეთთან ითამაშებენ.

# პუცილებელი, როგორც ჰაერი, მზე, წყალი...

**უკან დარჩა** ახალი სასწავლო წლის I მეოთხედი. მცირეოდენი შესვენების შემდეგ მოსწავლეებმა და პედაგოგებმა კვლავ მშობლიურ სკოლებს მიაშურეს. ახალი ძალით დაიწყო ლაშქრობა საოცნებო მწვერვალის დასაპყრობად, მომავალი თაობის, ჩვენი ხვალინდელი დღის სულიერი და ფიზიკური სრულყოფა რომ ჰქვია.

ანბანური ჭეშმარიტებაა: რა თეორიული ცოდნაც არ უნდა მიიღოს მოზარდმა სკოლაში, როგორადაც არ უნდა დაეუფლოს ნაირგვარ საგნებსა და დისციპლინებს, ფიზკულტურისა და სპორტის გარეშე, სხვანაირად რომ ვთქვათ, დილის ტანვარჯიშის, აქტიური დასვენების, ფიზკულტურულ და სპორტულ სექციებში სისტემატური მეცადინეობის გარეშე ჰარმონიულად განვითარებული ვერ იქნება, ხოლო მერე და მერე, როცა უკვე ცხოვრების ასპარეზზე გავა, ვერც საზოგადოებრივ საქმეებს გაუძღვება ხეირიანად. ამიტომ ვამბობთ, რომ ფიზკულტურა და სპორტი, მოძრაობა და მწვანე მინდორზე ნავარდი ისევე აუცილებელია ნორჩი სხეულისთვის, როგორც ჰაერი, მზე და წყალი...

რთული, მაგრამ მეტად საპატიო ამოცანაა დასახული იმათ წინაშე, ვისაც მოსწავლე ახალგაზრდობის ფიზიკური აღზრდის საქმე აბარია. პირველყოვლისა, ესაა ფიზკულტურის მასწავლებელი — სასკოლო ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობის მთავარი ფიგურა, მერე კი სკოლის დირექცია, მთელი პედაგოგიური კოლექტივი.

უკანასკნელ პერიოდში ჩვენი რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ერთგვარი „ფიზკულტურული კლიმატი" შეიქმნა, გამოცოცხლდა და მომძლავრდა ფიზკულტურულ-სპორტული ცხოვრება. სისტემატურად ტარდება დილის გამამხნევებელი ვარჯიშები, ფიზკულტურული პაუზები, სხვადასხვა მასობრივი ღონისძიებები.

ამ მხრივ ყურადღებას იმსახურებს თბილისის 87-ე საშუალო სკოლის გამოცდილება, სადაც მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდა საყოველთაო ზრუნვითაა გარემოსილი. სწორედ ამ სკოლის ფიზკულტურულ-სპორტულ ცხოვრებაზე მოგითხრობთ ჩვენი გაზეთის მე-2 გვერდზე გამოქვეყნებული მასალა „ყოველი დღე ვარჯიშით იწყება".



თბილისის 87-ე საშუალო სკოლაში ყოველი დღე ასე იწყება. გ. ხუციშვილის ფოტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბავშვთა სპორტს — შეუნელებელი ყურადღება!

# მთელი სამი წლის საზრუნავი





მოსწავლეთა XV საკავშირო სპარტაკიადის მძლეოსანთა შეჯიბრების შედეგები ჯერ რიგიანად არც გაუანალიზებიათ, მაგრამ ჩვენს რესპუბლიკაში უკვე დაიწყო მორიგი XVI სპარტაკიადისათვის მზადება — ამ დღეებში თბილისის „დინამოს“ სტადიონზე გაიმართა პირველობა სწორედ იმ ასაკის აღსაზრდელებისა, რომლებმაც მოსწავლეთა 1981 წლის სპარტაკიადაში უნდა სცადონ ძალა.

ამ კომპლექსურ ტურნირებს შორის ასეთი დიდი, სამწლიანი პერიოდი ორი პირობით არის გამოწვეული: გაისად სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადაა, 1980 წელს კი მოსკოვმა XXII ოლიმპიადას უნდა უმასპინძლოს.

როგორც საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მძლეოსნობის სპეციალიზებული სპორტული სკოლის დირექტორმა **რ. ოდიშარიამ** გვითხრა, მოსწავლეთა XVI სპარტაკიადის მასპინძლობა უკრაინის სსრ განათლების სამინისტროსა და სპორტკომიტეტს დაევალათ (ვარაუდობენ, რომ შეჯიბრებებს დონეცკი უმასპინძლებს), 1982 წლის XVII სპარტაკიადის ჩატარების სურვილი კი საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს გამოუთქვამს. ეს მისასალმებელი ფაქტია და ერთხელ კიდევ ადასტურებს ჩვენი რესპუბლიკის განათლების სამინისტროს ზრუნვას, ყოველმხრივ ხელი შეუწყოს მოსწავლეთა შორის ფიზკულტურისა და სპორტის პროპაგანდას, მის დანერგვასა და შემდგომ განვითარებას.

— როგორც ცნობილია, მსგავსი სპარტაკიადები საზაფხულო არდადეგების პერიოდში ეწყობოდა. წლეულს ეს ტრადიცია დაირღვა — ასპარეზობები სექტემბერში გაიმართა. ამას ყველგან მოწონებით შეხვდნენ და საფიქრებელია, მომავალშიც სპარტაკიადის სტარტები სექტემბრისთვის დაინიშნება. ხოლო თუ ეს ასე მოხდა, სპეციალისტებს შესაძლებლად მიაჩნიათ სტარტებზე სპარტაკიადის წელს საშუალო სკოლის კურსდამთავრებულნიც ღებულნიც ლუშვან. ჩვენს მუშაობას ყველა მოსალოდნელი პირობის გათვალისწინებით ვგეგმავთ, ამიტომაც მორიგი სპარტაკიადისთვის მზადების ამ ციკლის პირველ შეჯიბრებაში 1963-64-65 წლებში დაბადებული მძლეოსნები გამოვცადეთ, — გვიამბობს ოდიშარია.

● **რას გვეტყვით შედეგებზე?**

— 13-14 წლის ბავშვებს, რომლებიც ფაქტიურად ასეთ დიდ სტარტებში ძალებს პირველად ცდიან, რეკორდებს ვერ მოვთხოვთ და მაინცდამაინც არც გვაინტერესებს. მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადაზე ჩვენი გოგონების ნაკრები ცუდად გამოვიდა, ამიტომ ჩვენი მიზანია, შევინარჩუნოთ ბიჭების III ადგილი და მივაღწიოთ იმას, რომ მომავალ საკავშირო ტურნირში გოგონების ნაკრებმა გაცილებით უკეთესი მაჩვენებლები მოიპოვოს.

რაც შეეხება შეჯიბრებაზე ნაჩვენებ შედეგებს, ორმა ბავშვმა მოზრდილების I თანრიგის, ხოლო 26-მა მონაწილემ II თანრიგის ნორმატივი შეასრულა. თბილისის 101-ე საშუალო სკოლის მერვეკლასელმა მარინა ტულუშმა, რომელიც დედის, ახლო წარსულში ცნობილი მძლეოსნის ლამარა ტულუშის ხელმძღვანელობით ვარჯიშობს, ბადრო 45,22 მეტრზე ტყორცნა, რაც I თანრიგის ნორმატივს სჭარბობს. მარინა ჯერ მხოლოდ 14 წლისაა და მისგან მომავალში ბევრს ველით.

თბილისის 64-ე სკოლის მეცხრეკლასელმა ვლადიმერ ლისაკოვმა 100 მეტრი 11 წამში დაფარა. ესეც I თანრიგის შედეგია. ლისაკოვმა მოიგო 200 მეტრზე რბენაც (22,7). მან აქ ზუსტად ერთი წამით ჩამოიტოვა თანაგუნდელი ჯაფუროვი. მათგან და სხვა იმ 26 მონაწილედან 1981 წლისთვის კარგ ათლეტებს მივიღებთ, თუ მწვრთნელები მათი ძალების სწორად განვითარებას შეძლებენ.

● **წვრთნის შესაფერისი პირობები თუ გაქვთ?**

— სიამოვნებით უნდა აღვნიშნო, რომ ამ მხრივ ბევრი სასიკეთო საქმე გაკეთდა. მაგალითად ისიც კმარა თუ ვიტყვით, რომ ლენინის სტადიონზე, რომელიც ჩვენი სპორტსმენების მომზადების ძირითადი კერაა, დაიწყო სარბენი ბილიკებისა და მძლეოსნური სექტორების კაპიტალური შეკეთება — აქ ყველაფერი იცვლება. სამუშაო დავალებული აქვს საქსპორტმშენის № 1 სამმართველოს. მან ცუდად როდი იმუშავა, მაგრამ ბოლო ხანებში რატომღაც ყურადღება მოადუნა და ბაზის საექსპლუატაციოდ გადაცემაც გაჭიანურდა. აქვე დაგეგმილია ბილიკების ირგვლივი გადახურვაც. მისი დამთავრება საგრძნობლად აამაღლებს ჯგუფების მეცადინეობის ინტენსიურობას...

● **ვის გამოყოფდით პერიფერიებში მომუშავე მწვრთნელების აღზრდილებიდან?**

— პირველ რიგში ახალციხის II საშუალო სკოლის მეცხრეკლასელ იური ლევიტს. მან საკავშირო კროსი მოიგო. ახლა აქ, რესპუბლიკურ პირველობაში, 3000 მეტრზე (9.00,1) მეორე პრიზიორი კოჩიევი სამხრეთ ოსეთიდან 56,2 წამით ჩამოიტოვა. გამოვყოფდი აგრეთვე, მის თანაკლასელს დილბაროვს, რომელმაც 110 მეტრზე თარჯრბენში (16,4) 1,2 წამით აჯობა თბილისელ ცინდელიანს. საქმე ისაა, რომ თბილისელებს თარჯრბენში ვარჯიშის გაცილებით უკეთესი პირობები აქვთ, ვიდრე ახალციხელებს, ეს უკანასკნელნი კი აშკარად უკეთესად გამოიყურებიან, რაც იქაური მწვრთნელის თენგიზ ჯიშკარიანის დამსახურებაა...

ამ ასპარეზობაში გამარჯვებულთა შორის კიდევ ერთი რეკორდსმენის, საქართველოს ნაკრების მწვრთნელის გ. გუდაშვილის შვილი ლელაც ვიხილეთ. ეს გოგონა 13 წლისაა, მაგრამ ორი ჯილდოს მოპოვება მოასწრო: თანაგუნდელებთან ი. კოსორუკოვასთან, მ. გოგოხიასა და შ. ონიაშვილთან ერთად 4X100 მეტრზე ესტაფეტაშიც იმარჯვა (53,4) და 21 მონაწილეს შორის სიგრძეზე ხტომაშიც პირველი ადგილი (490 სმ) დაიკავა.

ტურნირი საკმაოდ მასობრივი იყო. მაგალითად, გოგონების 100 მეტრზე რბენაში 38 მონაწილე შეგროვდა, ბიჭებს შორის კი 56 სპორტსმენი იბრძოდა გამარჯვებისათვის. ასევე მრავალრიცხოვანი გახლდათ სხვა სპრინტერულ და საშუალო დისტანციებზე შეჯიბრებები. ხუთჭიდში და რვაჭიდშიც კი შესაბამისად 20 და 16 სპორტსმენი შეგროვდა, მაგრამ ზოგიერთ სახეობაში მონაწილეთა რიცხვი ძალიან მცირე გამოდგა. ეს განსაკუთრებით ისეთ ტექნიკურ სახეობებზე ითქმის, როგორც შუბისა და უროს ტყორცნა, ჭოკით ხტომა და თარჯრბენია. უროს სატყორცნელად მარტო 2 ბიჭი გამოვიდა, ჭოკით სახტომ სექტორში კი — 3...

ამის მიუხედავად, საქართველოს ჭაბუკთა რეკორდი სწორედ ტექნიკურ სახეობაში — ბირთვის კვრაში გაუმჯობესდა, თუმცა იგი ერთადერთი აღმოჩნდა ამ შეჯიბრებაში და ისიც უკონკურსოდ მოასპარეზეს, მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადის მონაწილეს, თბილისის 156-ე სკოლის მოსწავლე ვ. საბანიძეს (მწვრთნელი ო. ოდიშვილი) ეკუთვნის. მისი შედეგია 16,50 მ.

**სხვა გამარჯვებულთა ტექნიკური შედეგები ასეთია: გოგონები.** რბენა. 100 მ. ი. კოსორუკოვა — 12,7; 200 და 400 მ. შ. ონიაშვილი (ორივე — თბილისი) — 26,5 და 59,7; 800 მ. ნ. ჭელიაშვილი (ახალციხე) — 2.20,3; 100 მ. თარჯრბენი. მ. აზარაშვილი (თბილისი, პირადი) — 16,0; სიმაღლეზე ხტომა. მ. აბაშიძე (წყალტუბო) — 140; შუბის ტყორცნა. ლ. გუშერაშვილი (თბილისი) — 37,78; ბირთვის კვრა. მ. ხურცია (წულუკიძე) — 11,70; ხუთჭიდი. მ. აზარაშვილი (თბილისი) — 3122 ქულა.

**ბიჭები.** რბენა. 400 და 800 მ. ბ. ბოლქვაძე (მახარაძე) — 53,4 და 2.07,8; 1500 მ. ვ. კოჩიევი (სამხრეთ ოსეთი, პირადი) — 4.27,0; 400 მ თარჯრბენი. რ. ქიქავა (თბილისი) — 1.05,0; 1500 მ წინაღობებით. ი. ლევიტი (ახალციხე) — 4.30,9; ესტაფეტა 4X100 მ. თბილისი (ვ. ლისაკოვი, მ. მაისურაძე, ა. კოპალეიშვილი, მ. თაქთაქიშვილი) — 45,4; 5 კმ სპორტული სიარული. მ. მალაზონია (აჭარა) — 24.24,3; სიმაღლეზე ხტომა. შ. აკანილოვი, კ. ბაბიჩენკო — 175-175 სმ; სიგრძეზე ხტომა. ა. კოპალეიშვილი — 655; სამხტომი. ა. კოპალეიშვილი — 13,70; ჭოკით ხტომა. ი. პოპოვი — 260; ბადრის ტყორცნა. ა. პროშევი (ყველა — თბილისი) — 37,24; შუბის ტყორცნა. დ. ჩაჩხალია (აფხაზეთი) — 63,26; უროს ტყორცნა. ზ. თახნიაშვილი (გარდაბანი) — 42,80; ბირთვის კვრა. დ. ბოჭორიშვილი (წყალტუბო) — 10,43; რვაჭიდი. თ. ქათამაძე (აჭარა) — 4463.

**გუნდური ტურნირი**, რომელშიც 39 კოლექტივი მონაწილეობდა, სამ ჯგუფად გაიმართა. **I ჯგუფი.** თბილისი — 28889 ქულა, ქუთაისი — 20926, აჭარა — 19830, წყალტუბო — 19117, რესპუბლიკური სკოლა-ინტერნატი — 11555, მახარაძე — 10891, აფხაზეთი — 8206; **II ჯგუფი** (გამოდიოდა 15 გუნდი). ფოთი — 10235, ახალციხე — 8481, სამხრეთ ოსეთი — 8293;. **III ჯგუფი** (მონაწილეობდა 17 გუნდი). გეგეჭკორი — 1793, წულუკიძე — 1729, ზესტაფონი — 1670.

**ჯ. ქვარცხავა,**
**ჭ. ჯიმშელაძე.**

* * *

**სურათებზე: 200 მეტრზე (მარცხნივ) გოგონებისა და (მარჯვნივ) ბიჭების ასპარეზობის მომენტები.**

ო. გელაშვილის ფოტოები.



ამ სურათებზე აღბეჭდილია თბილისის 87-ე საშუალო სკოლის ფიზკულტურულ-სპორტული ცხოვრების ორი მომენტი: მარჯვნივ — ფიზკულტურის გაკვეთილზე მოსწავლეები ხალისით გადიან სამწყობრო ვარჯიშს; ფიზკულტურის მასწავლებელი შ. კაკაურიძე (ფართან) თვალყურს ადევნებს მოსწავლის მიერ კალათში ბურთის ტყორცნის სიზუსტეს.

ე. ხუცურაულის ფოტოები.



# ყოველი დღე ვარჯიშით იწყება

— **დილაობით**, სწავლის დაწყებამდე 15 წუთით ადრე, ყველა მოსწავლე ერთად იყრის თავს. ბავშვები მათთვის მიჩენილ ადგილებს იკავებენ. ისმის მუსიკა, შემდეგ ფიზაღზრდის მასწავლებლის, შოთა კაკაურიძის განკარგულება, და გამამხნევებელი ვარჯიშიც იწყება...

ასეა ყოველდღე თბილისის 87-ე საშუალო სკოლაში, სადაც მოზარდთა ფიზიკური აღზრდის საქმეს უნარიანად უძღვება საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი, რაიონული საბჭოს დეპუტატი შ. კაკაურიძე. იგი 40 წელია გულმოდგინედ მუშაობს მომავალი თაობის ჯანმრთელობის განმტკიცებისთვის. მასწავლებელი ერთთავად იმის ცდაშია, ბავშვებს სამუდამოდ შეაყვაროს ფიზკულტურა და სპორტი, აღმოაჩინოს მათში რომელიმე სახეობისადმი მისწრაფება, რომ შემდგომში ეს ნიჭი სათანადოდ განავითაროს და ჭაბუკი თუ გოგონა რესპუბლიკის საუკეთესო სპორტსმენთა რიგებში ჩააყენოს.

ამ სკოლიდან სწორედ კაკაურიძის ხელმძღვანელობით გავიდნენ დიდ სპორტში ამჟამად სსრ კავშირის ჩემპიონი სპორტულ ტანვარჯიშში მ. თათარაძე, საქართველოს ჩემპიონი ბ. ელიზბარაშვილი, საქართველოს კალათბურთელთა ნაკრების ყოფილი წევრი გ. ბიჭიაშვილი... შარშან ეს სკოლა დაამთავრა ნ. სიმონიშვილმა, რომელიც თანატოლთა შორის რესპუბლიკაში ერთ-ერთ ნიჭიერ ფეხბურთელად ითვლება და უკვე „დინამოშიც“ მიიწვიეს...

სკოლის ფიზკულტურული კოლექტივის საქმიანობას კარგად ხელმძღვანელობს ფიზკულტურული კოლექტივის საბჭო, რომლის ძირითად ბირთვს მოწინავე სპორტსმენი-მოსწავლეები შეადგენენ. მართალია აქ, ასე ვთქვათ, ოფიციალურად მუშაობს ტანვარჯიშის, ხელბურთის, კალათბურთის, ჭადრაკისა და მაგიდის ჩოგბურთის სექციები, მაგრამ არც სპორტის სხვა სახეობებია მივიწყებული. მათში 300-მდე მოზარდია გაერთიანებული, თითქმის ამდენივე კი რაიონისა და თბილისის სპორტსაზოგადოებების ან განათლების განყოფილების ჯგუფებში ეუფლებიან სპორტის ამა თუ იმ სახეობას.

სკოლის ფიზკულტურული კოლექტივის მთავარ მამოძრავებელ წყაროს შიდასაკოლექტივო ტურნირები წარმოადგენს. ამ ასპარეზობებში ვლინდებიან უძლიერესი კლასები, საუკეთესო სპორტსმენები, რომლებიც მერე მოსწავლეთა სარაიონო სპარტაკიადებში წარმატებით გამოდიან. აქაურ ტანმოვარჯიშეებს, მოჭადრაკეებსა და კალათბურთელებს რაიონში ბადალი არ ჰყავთ, 26 კომისრის სახელობის რაიონის მოზარდთა სპარტაკიადაში კი 87-ე სკოლელებმა შარშან საერთო მესამე ადგილი დაიკავეს. თუმცა ეს მათი ზღვარი როდია.

— ახლა ჩვენ განსაკუთრებით გვაინტერესებს მშდ კომპლექსის ფართოდ დანერგვა და სხვადასხვა სათეხურების ნიშნოსანთა რიგების ზრდა, — გვეუბნება ფიზკულტურული კოლექტივის საბჭოს თავმჯდომარე, მეცხრეკლასელი გ. გეთიაშვილი, — ამ საქმეში დიდად გვეხმარება სკოლის მშდ კომისია, რომელსაც სასწავლებლის დირექტორი მ. გოგიტაძე ხელმძღვანელობს...

სკოლაში მშდ ნორმატივების ჩაბარებისთვის მზადება მთელი სასწავლო წლის მანძილზე გრძელდება და არ ყოფილა შემთხვევა ვინმესთვის სამკერდე ნიშნის ტარების უფლება მიეცეთ ისე, რომ ყველა ნორმატივი არ ჩაებარებინოს. შარშან აქ I და II საფეხურების 77 ნიშნოსანი მომზადდა.

87-ე სკოლელთა განკარგულებაშია ვრცელ ეზოში მოწყობილი სპორტული მოედნები და ბილიკები, სპორტდარბაზი, მაგრამ წარმატების მთავარი „საიდუმლო“ ისაა, რომ სპორტი აქ ყველას უყვარს — დიდსა და პატარას. და კიდევ ის, რომ მიღწეულით არ კმაყოფილდებიან. როგორც შ. კაკაურიძემ გვითხრა, განზრახულია შეიქმნას დამსტარტების სპეციალური ჯგუფები ტანვარჯიშსა და ჭადრაკში. ერთი ასეთი ჯგუფი აქ უკვე მოქმედებს — 4I კლასი მთლიანად ნორჩი ფეხბურთელებითაა დაკომპლექტებული.

— ჩვენი მიზანია მოსწავლეთა საგაისო რაიონულ სპარტაკიადაში საერთო გუნდური პირველი ადგილისთვის ვიბრძოლოთ და რაც შეიძლება მეტი შევსება მივცეთ 26 კომისრის რაიონის ნაკრებს, რომელიც შემდეგ საქალაქო პირველობაში ჩაებმება, — ასეთია ფიზკულტურული კოლექტივის საბჭოს საერთო აზრი.

**ნინო გედენიძე,**
**მანანა კენჭიაშვილი.**

# გამაფრთხილებელი სიგნალი

განვლილი სეზონის შედეგებს კომენტარს უკეთებს საკდესის საფეხბურთო მიმომხილველი, სპორტის დამსახურებული ოსტატი ან. სტაროსტინი



— **სსრ კავშირის** 41-ე საფეხბურთო ჩემპიონატში ადგილები და წოდებები ობიექტურად არის განაწილებული. როცა ანალიზს ვუკეთებთ ციფრებს; რაოდენობრივ მაჩვენებლებს, შეიძლება აღვნიშნოთ, რომ წლეულს უფრო მეტი ბურთი იქნა გატანილი, ვიდრე შარშანდელ ჩემპიონატში, ფრედ დამთავრებული მატჩების რაოდენობა კი შემცირდა, თანაც ნაკლებია „ნულოვანი" ფრეების რიცხვი.

ჩემპიონთა წოდება დამსახურებულად მოიპოვეს თბილისის „დინამოს" ფეხბურთელებმა. გუნდი კარგად და თანაბრად არის დაკომპლექტებული ცალკეული რგოლების მიხედვით, გააჩნია ახალგაზრდა მოთამაშეთა სრულფასოვანი რეზერვი, რამაც მას საშუალება მისცა წარმატებით შეევსო ასეთ ხანგრძლივ შეჯიბრებაში ბუნებრივი ტრავმებით გამოწვეული დანაკლისი.

უმეტეს კალენდარულ მატჩებში თბილისელთა თამაში მაყურებელს მოსწონდა თავისი ტაქტიკური სწრაფვით იერიშისკენ. ახალ ჩემპიონს ჰყავს ისეთი მოთამაშეები, ვისაც ძალუძს ამ ამოცანის შესრულება. დავასახელებ, თუნდაც, ყიფიანს, შენგელიას, გუცაევს. გუნდის უფროსი მწვრთნელი ნ. ახალკაცი არ დაჰყვა დაცვითი ფეხბურთის ცთუნებას და ერთგულად განაგრძობს შემტევი ფეხბურთის იმ კეთილშობილურ ტრადიციებს, რომლებიც თბილისელებს მოპოვებული აქვთ ჯერ კიდევ პაიჭაძის, ღოღობერიძის, მესხისა და შეტევის სხვა გამოჩენილ ოსტატთა დროიდან.

აქტიური შემტევი ტაქტიკა გვიჩვენა განვლილ მატჩებში მოსკოვის „სპარტაკმაც". გუნდის უფროსმა მწვრთნელმა კ. ბესკოვმა პრაქტიკულად დაამტკიცა იმ ტაქტიკური პრინციპის უპირატესობა, როცა მეტოქის კარში ერთით მეტი გოლი გააქვთ, ვიდრე უშვებენ საკუთარში.

მაგრამ, როგორც ჩემპიონატის მსვლელობამ გვიჩვენა, გუნდების უმეტესობა დაცვით ტენდენციებს ებღაუჭება და ცდილობს თვითონ ერთი გოლით ნაკლები გაუშვას, ვიდრე გაუშვებს მეტოქე. მიზანი როგორც ერთ, ისე მეორე შემთხვევაში ერთიდაიგივეა — გამარჯვება, გამარჯვების ფსიქოლოგია ამ მიზნისთვის ბრძოლაში კი დიამეტრალურად საპირისპიროა.

განვლილი ჩემპიონატის ცალკეულ მატჩებში ადგილი ჰქონდა უკომპრომისო სპორტულ ბრძოლას გოლის გასატანად, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში ეს იყო რეაქცია გაშვებულ ბურთზე და არა სპორტსმენის მუდმივმოქმედი სანებისყოფო მუხტი.

ფორმის მიხედვით ჩემპიონატმა თავისი საქმე გააკეთა. ყველამ მიიღო ის, რაც დაიმსახურა. პრიზიორთა წოდებები მოიპოვეს კიევის „დინამომ", დონეცკის „შახტიორმა", მათ მჭიდრო ჯგუფად მიჰყვებიან მოსკოვის „დინამო", ცსკა, ოდესის „ჩერნომორეცი", „ტორპედო".

მაგრამ საკითხავია, უპასუხა თუ არა ჩემპიონატმა მთავარ მოთხოვნას — ისეთი ფეხბურთელების აღზრდას, რომლებიც სადღეისოდ მზად არიან დაიცვან საბჭოთა ფეხბურთის პრესტიჟი საერთაშორისო სარბიელზე (ლაპარაკია როგორც სპორტული, ისე ზნეობრივი მნიშვნელობით). ვერა, ვერ უპასუხა!

და, რა თქმა უნდა, ამაში გარკვეული დანაშაული მიუძღვით თვით ფეხბურთელებსაც, რომლებიც საკმარისი კეთილსინდისიერებით არ ეკიდებიან წვრთნას, თამაშებს, „ალმის ღირსებას", როცა გამოდიან საერთაშორისო მატჩებში.

ჩვენი უძლიერესი გუნდები — კიევის „დინამო", თბილისის „დინამო", მოსკოვის „ტორპედო", დონეცკის „შახტიორი" უკვე ადრეულ ეტაპზე გამოეთიშნენ ევროპის ოფიციალურ ტურნირებს. ეს ტრავმა მით უფრო საგრძნობია, რომ მეტოქეებმა იგი მოგვაყენებს ჩვენივე „იარაღით", რომელიც ბოლო ხანებში ერთობ დაგვიბლაგვდა. ამ „იარაღის" სახელწოდება ნებისყოფის სიმტკიცე, დასახული მიზნისთვის შეუპოვარი ბრძოლა.

სსრ კავშირის ნაკრებმა უკვე განიცადა მარცხი უნგრეთის ფეხბურთელთაგან, რითაც გაირთულა ევროპის მომავალი ჩემპიონატის ფინალში გასვლის საქმე. თავისთავად წარმოიქმნება ლოგიკური დასკვნა, რომ ყველაფერი ეს ერთი ჯაჭვის რგოლებია: ფეხბურთელი — მწვრთნელი — საკლუბო ფეხბურთი — ჩემპიონატის კალენდარი — ნაკრები.

ამ ჯაჭვში მწვრთნელთა ინსტიტუტი უმნიშვნელოვანესი რგოლია თამაშის ორგანიზაციის დადგენის საქმეში. თუ ფეხბურთის ტაქტიკის განვითარების ხაზი იხრება „უშეცდომო უმოქმედობისკენ" (ბურთის გადაწოდება ერთი მოთამაშიდან მეორისკენ საკუთარ ზურგში, მეტოქის წინააღმდეგობის დაძლევის გარეშე), შეუძლებელია იმედი ვიქონიოთ საერთაშორისო ტურნირებში წარმატებაზე.

რასაკვირველია, ყოველ მწვრთნელს აქვს ექსპერიმენტების უფლება, მაგრამ იგი უნდა გამომდინარეობდეს პროგრესული, თანამედროვე კონცეფციებიდან, რომლებშიც, როგორც ეს არგენტინის მსოფლიო ჩემპიონატმა ცხადყო, შემტევი ტენდენციები ნათლად ალამაზებს საფეხბურთო ბრძოლებს ისეთი გუნდების მონაწილეობით, როგორებიცაა არგენტინა, ჰოლანდია, ბრაზილია, საფრანგეთი და ტუნისიც კი.

არგენტინის მინდვრებზე სუფევდა „ლოგიკური" ფეხბურთის სულისკვეთება, სადაც ადგილი არა აქვს უმიზნო გადაცემას და შენელებულ მოქმედებას, სადაც თამაში მიმდინარეობს მასშტაბურად, სხვადასხვა რგოლების მოთამაშეთა კალეიდოსკოპური ურთიერთმონაცვლეობით.

გამარჯვება ძნელი მოსაპოვებელია. იგი მხოლოდ მწვერვალის თხემზე იმყოფება და გზაც აღმართიანი აქვს. მთის ძირში ხეტიალით ამ გამარჯვებამდე ვერ მიხვალ. ეს უბრალო ამბავი ვერ გაიგო ბევრმა ჩვენმა მწვრთნელმა და ფეხბურთელმა.

სამწუხაროდ, ჩვენს ფეხბურთში დაკანონებული პრაქტიკით, ოსტატთა გუნდებისა და ქვეყნის ნაკრების მწვრთნელები არსებითად გამოეთიშნენ საზოგადოებრივ ორგანიზაციათა კონტროლს, გუნდების მომზადების გეგმები, შემადგენლობათა დაკომპლექტება, საქმის ორგანიზატორული მხარე მხოლოდ ფორმალურად იხილება მწვრთნელთა საბჭოებისა და ფეხბურთის ფედერაციის სხდომებზე.

მაგალითად, სპორტის 15 დამსახურებულმა ოსტატმა, რომლებიც მწვრთნელთა საბჭოს შემადგენლობაში შედიოდნენ (მათ შორის ხუთს ჰქონდა ნაკრების ხელმძღვანელობის საჭირო გამოცდილება), თავის დროზე ერთხმად მიიჩნია უვარგისად განსაკუთრებული პროგრამით ნაკრების მზადების გეგმა, საკავშირო ჩემპიონატში მისი კანდიდატების მონაწილეობის გარეშე. მაგრამ ამ დადგენილებას ეფექტი არა ჰქონია. ნაკრების მწვრთნელთა საამებლად ჩემპიონატი დაყოფილი იქნა ორ ცალკეულ გათამაშებად, საგაზაფხულო და საშემოდგომო წრეებად, საბოლოოდ კი საბჭოთა ფეხბურთი ვერ მოხვდა მნიშვნელოვან შეჯიბრებათა გადამწყვეტ ეტაპზე და წააგო მონრეალის ოლიმპიური ტურნირი. ფეხბურთის სპეციალისტთა აზრის იგნორირების მაგალითების მოყვანა კიდევ შეიძლებოდა თუნდაც მიმდინარე სეზონის პრაქტიკიდან.

დღემდე არაა გადაწყვეტილი საკლუბო გუნდების მწვრთნელთა ნაკრების მწვრთნელებთან ურთიერთდამოკიდებულების უმნიშვნელოვანესი პრობლემა. მათი ინტერესები, ისევე როგორც ადრე, ანტაგონისტურია. მიუხედავად ნაკრების მწვრთნელის ნ. სიმონიანის განცხადებისა, მოთამაშეთა მომზადების პრინციპი უშუალოდ კლუბებში სათანადოდ არაა გადაჭრილი, ფეხბურთელთა ნორმები კლუბებსა და ნაკრებში არაა რეგულირებული. ერთი მხრისთვის ისინი ამაღლებულია, მეორისთვის — შემცირებული.

ფეხბურთის ხელმძღვანელობა ძალზე რთული საქმეა და სპეციალისტთა კოლექტიური აზროვნება საჭიროა სრულად იქნას გამოყენებული ამ თამაშის საკვანძო საკითხების განვითარების განსაზღვრისას. ნაკრებიც და საკლუბო ფეხბურთიც მილიონობით მაყურებლის გულმოდგინე მზერის ქვეშ იმყოფება. ფეხბურთს ყველა ადევნებს თვალს. როცა საქმე ეხება მის უმაღლეს პრესტიჟს, გუნდის მომზადების საკითხები არ შეიძლება მოექცეს მხოლოდ ერთი მწვრთნელის გამგებლობაში, რა კვალიფიკაციაც არ უნდა ჰქონდეს მას.

განვლილი სეზონის შედეგები არადამაკმაყოფილებელია და ამის აღიარება მით უფრო საწყენია, რომ ჩვენი ფეხბურთი, ე. ი. გუნდებიც და ფეხბურთელებიც მთლიანობაში აღებული, უკეთესია, ვიდრე მას ვახასიათებთ და წარმოგიდგენთ. უბრალოდ, ჩვენი ორგანიზაციულობის არასაკმარისი დონე, სტრუქტურული უზუსტობანი იწვევს მრავალ გართულებას და ხელს უწყობს საზიანო წინააღმდეგობათა წამოჭრას, რომლებსაც მერე თვითვე გაჭირვებით ვძლევთ ხოლმე. ჩვენს საფეხბურთო მეურნეობაში საჭირო წესრიგის დამყარება ახლა გადაუდებელი ამოცანაა.

მიღებულმა მწარე გაკვეთილმა არ უნდა გამოგვიყვანოს წონასწორობიდან. ეს მხოლოდ გამაფრთხილებელი სიგნალია, რომელიც მოგვიწოდებს კრიტიკულად შევაფასოთ მდგომარეობა და მოვიშოროთ ნაკლოვანი მხარეები ისე, რომ არ გადავმალოთ ის კარგი, რაც კი გაგვაჩნია.

## საინტერესო წინადადება

**ფეხბურთის** მატჩი 90 წუთს გრძელდება, თუმცა ხშირად ხდება, რომ ბურთი 91-ე ან 92-ე წუთზე გააქვთ ხოლმე. რატომ ჩამორჩება ამ მხრივ ფეხბურთი XX საუკუნეს? აკი სპორტის სხვა სახეობებში დრო კარგა ხანია წამის მეათედებით იზომება.

თანამედროვე ელექტროტექნიკა ამ პრობლემის გადასაწყვეტად მრავალ შესაძლებლობას გვთავაზობს. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ბულგარულ ყოველკვირეულ ჟურნალ „სტარტში" გამოქვეყნებული მასალა.

როგორც ცნობილია, ფეხბურთის მსაჯი დროს დამოუკიდებლად აღნუსხავს. თუ იგი გადაწყვეტს, რომ რაიმე მიზეზით თამაშის შეფერხების გამო დაკარგული დრო უნდა დაემატოს ძირითად დროს, მაშინვე გამორთავს თავის წამმზომს, მსაჯის ეს მოქმედება კი რადიოტალღების საშუალებით ავტომატურად გადაეცემა სტადიონის ელექტროტაბლოზე დამონტაჟებულ დიდ საათს, რომელიც თავის მხრივ სატელევიზიო კამერასთანაა მიერთებული. ამრიგად, სტადიონზე მოსულ მაყურებელს, ტელემაყურებელთან ერთად საკმაოდ რეალური წარმოდგენა ექმნება ფეხბურთის მატჩის ზუსტი დროის შესახებ, ამასთან, მატჩის დამთავრებას მსაჯის სასტვენის ხმა კი არა, ავტომატური სირენა აუწყებს.

## 30-კაციანი კლუბი

**არგენტინის** მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ იმ ფეხბურთელთა რიცხვი, რომელთაც 2 ფინალურ შეხვედრაში მიუღიათ მონაწილეობა, 24-მდე გაიზარდა. პელე რჩება ერთადერთ ფეხბურთელად, რომელსაც 3 ფინალში უთამაშია. უდავოა, რომ იგი არის ამ სიმბოლური კლუბის „პრეზიდენტი", რომლის წევრები არიან: თვითონ პელე (ბრაზილია) — 1958, 1962, 1970 წლები, მეაცა, ფერარი, მონზელიო (ყველა — იტალია) 1934-38 წ. ჟილმარი, ჯალმა სანტოსი, ნილტონ სანტოსი, დიდი, ზიტო, გარინჩა, ვავა, ზაგალო (ყველა — ბრაზილია) 1958-1962 წ. ოვერატი, ბეკენბაუერი, ფოგტსი (გფრ) — 1966-1974 წ. იონგბლადი, კროლი, სურბიერი, იანსენი, ჰაანი, რენე ვან დე კერჰოფი, ნეესკენსი, რეპი, რენსენბრინკი (ყველა — ჰოლანდია) — 1974-1978 წ.

## პატარა ფეხების საიდუმლო

პატარა ფეხების საიდუმლო **საინტერესოა**, რომ ბრაზილიელი ფეხბურთის ვარსკვლავი დირსეუ (სიმაღლე 165 სმ) იცვამს 36 ზომის ფეხსაცმელს. ამბობენ, რომ ფეხბურთელებს, რომლებიც კარგად ურტყამენ კარში, ხშირად პატარა ზომის ფეხები აქვთ, მაგალითად მოჰყავთ პუშკაში, რომელიც 38 ზომის ფეხსაცმელს იცვამდა.

**იტალიის** ცნობილი კლუბი „რომა" სისტემატურ მარცხს განიცდის ეროვნულ ჩემპიონატში, რის გამოც გადაყენებული იქნა გუნდის მწვრთნელი ა. დანიონი. მისი ადგილი დაიკავა ფ. ვალკარეჯიმ, რომლის ხელმძღვანელობითაც იტალიის ნაკრები II ადგილზე იყო მსოფლიო ჩემპიონატში და ევროპის ჩემპიონობაც მოიპოვა. ბოლო ხანებში ვალკარეჯი სათავეში ედგა „ვერონას".

**თამაშს** დაანება თავი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრების მცველმა და მიონხენგლადბახის „ბორუსიის" კაპიტანმა ბ. ფოგტსმა. იგი მიწვეულია თავისი ქვეყნის საფეხბურთო კავშირში ნაკრები გუნდის ერთ-ერთ სელექციონერად.

**გერმანიის** ფედერაციული რესპუბლიკის საფეხბურთო კავშირი გადაჭრით ებრძვის დოპინგის მიღების პრაქტიკას მოთამაშეთა შორის. ამ დღეებში კავშირმა დაადგინა ქვეყნის ჩემპიონატის ყოველი მატჩის შემდეგ სავალდებულო წესით სადოპინგო კონტროლი გაუწიოს ორივე გუნდის 2-2 მოთამაშეს ამორჩევით.

**იუგოსლავიის** ნაკრები დიდ კრიზისს განიცდის მწვრთნელთა მხრივ. რუმინეთის ნაკრებთან ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩის წაგების შემდეგ ბუქარესტში, იუგოსლაველთა მწვრთნელმა ა. მლადინიჩმა განცხადება დაწერა გადადგომის შესახებ და ამ ქვეყნის ნაკრები კვლავ „უმეთვალყურეოდაა" დარჩენილი.

**იმ** 16 მწვრთნელიდან, რომლებიც წლეულს ხელმძღვანელობდნენ თავიანთ გუნდებს მსოფლიო ჩემპიონატზე არგენტინაში, ეროვნული ნაკრების სათავეში დარჩა მხოლოდ 5. ესენია: იდალგო (საფრანგეთი), მენოტი (არგენტინა), ბეარზოტი (იტალია), ერიქსონი (შვეცია) და კუბალა (ესპანეთი).



# ფეხბურთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 4:1

გასულ კვირას ტოკიოს ოლიმპიურ [illegible] შეხვდნენ იაპონიისა და სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდები. გაიმარჯვეს საბჭოთა სპორტსმენებმა — 4:1. მე-4 წუთზე ანგარიში გახსნა მასპინძელმა ფუძიგუტიმ. შემდეგ ინიციატივას დაეუფლნენ სტუმრები და მე-17 წუთზე ხიდიატულინის მოწოდებიდან დარასელიამ აღადგინა თანაფარდობა. ტაიმის ბოლომდე გაზაევმა ორჯერ აიღო მეტოქეთა კარი.

შესვენების შემდეგ საბჭოთა გუნდის უპირატესობის მიუხედავად, ბურთი მხოლოდ ერთხელ გავიდა იაპონიის ნაკრების კარში (გავრილოვი)

საბჭოთა ნაკრები ასეთი შემადგენლობით თამაშობდა: დეგტიაროვი (რომენსკი), პრიგოდა, ჟუპიკოვი (კოსტავა), მახოვიკოვი, ბუბნოვი, ბერეჟნოი (გავრილოვი), ხიდიატულინი, ბესონოვი, დარასელია, ყიფიანი, გაზაევი.

## ადლერის სტადიონზე

ადლერში გრძელდება ახალგაზრდა ფეხბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის ზონალური ტურნირი.

II ტურში საქართველოს ნაკრებმა ანგარიშით 0:2 განიცადა მარცხი უკრაინის გუნდთან შეხვედრაში. თურქმენეთის კოლექტივმა დიდი ანგარიშით სძლია მოლდავეთის ნაკრებს — 6:0.

## მოსკოვის დინამოელთა მესამე მატჩი

**ლონდონი** (საქდესის კორ.). მოსკოვის „დინამოს" ფეხბურთელებმა, რომლებიც დიდ ბრიტანეთში საერთაშორისო ამხანაგურ მატჩებს ატარებენ, მესამე შეხვედრა გამართეს ბელფასტში (ჩრდილოეთი ირლანდია) ადგილობრივ კლუბთან „ლინფილდი" და გაიმარჯვეს — 4:0 (2:0).

ადრე დინამოელებმა ფრედ (0:0), ითამაშეს „ბრისტოლთან", ხოლო ლონდონში დაამარცხეს „ჩელსი" — 2:1.

მორიგ მატჩს მოსკოველი ფეხბურთელები შოტლანდიაში გამართავენ, მათი მოწინააღმდეგე იქნება „აბერდინი".

●

# ჩემპიონატები, თასები, ლიგები

## ჰოლანდია

„ეინდჰოვენი" 12 ტურის შემდეგ დაეწია ამსტერდამის „აიაქსს". ეს უკანასკნელი როტერდამში დამარცხდა „სპარტასთან" — 0:1, „ეინდჰოვენმა" კი სტუმრად გაიმარჯვა „ბრედასთან" — 2:0.

ახლა „აიაქსსა" და „ეინდჰოვენს" 19-19 ქულა აქვთ. 18 ქულით III ადგილზეა „როდა".

## პორტუგალია

ჩემპიონობის ძირითადი პრეტენდენტები „პორტო" და „ბენფიკა" IX ტურში მინდვრებს ცვლიდნენ: „პორტო" ლისაბონში თამაშობდა „სპორტინგთან"", ხოლო „ბენფიკა" პორტოში — „ბოავისტასთან". „ბენფიკამ" გაიმარჯვა 1:0, „პორტომ" კი ფრედ ითამაშა — 0:0.

ახლა „პორტოს" 13 ქულა აქვს, 12-12 ქულა მოაგროვეს „ბენფიკამ" და „სპორტინგმა".

## საბერძნეთი

VII ტური მარცხიანი გამოდგა ათენის წამყვანი კლუბებისთვის. აეკ-ი პირეოსში თამაშობდა „ეთნიკოსთან" და დამარცხდა (1:3), „პანათინაიკოსმა" ასევე სტუმრად წააგო „ირაკლიონთან" — 0:2.

12-12 ქულით I-II ადგილებს იყოფენ სალონიკის „არისი" და პირეოსის „ეთნიკოსი". მათ თითო ქულით ჩამორჩებიან აეკ-ი (ათენი) და „ოლიმპიაკოსი" (პირეოსი).





# სარეკორდო ნახტომის წინ სარეკორდო სისწრაფე

**პრაღის** ევროპის ჩემპიონატამდე ცოტა დრო რჩებოდა. ასობით სიგრძეზე მხტომელი ქალი ოცნებობდა შვიდმეტრიან ნახტომზე. მის ზღვარს ორი წლის წინათ პირველმა ერფრუტელმა ზიგრუნ ზიგლმა მიაღწია (6,99).

ამ „მსოფლიო რეკორდის ჩამოგდებისთვის“ მთელი სეზონი ემზადებოდა ვილმა ბარდაუსკენე. და აი, კიშინიოვში გამართულ „მხტომელის დღეს“ შესანიშნავ შედეგსაც (7.07 მ) მიაღწია. მისი ხტომების სერიები კიშინიოვში შეუდარებელია: პირველ ცდაზე ქარის დახმარებით 7,07 მ აჩვენა. შემდეგ, ნორმალურ პირობებში — კვლავ 7,07 მ. ბოლოს 7,06. საოცარია!

ბევრი, ვინც ამ შეჯიბრებას არ ესწრებოდა, ეჭვს არ მალავდა, მაგრამ პრაღის ევროპის ჩემპიონატზე ამ ეჭვებსაც ბოლო მოეღო — ყველასათვის ყველაფერი ნათელი გახდა, როდესაც ბარდაუსკენემ საკლასიფიკაციო ხტომის დროს 7,09 მ. აჩვენა და თავისივე მსოფლიო რეკორდი 2 სანტიმეტრით გააუმჯობესა.

საინტერესო ის არის, რომ სარეკორდო ცდის დროს, ნახტომის შესრულებამდე 5 მეტრით ადრე, იგი წამში 10 მეტრის სიჩქარით მიჰქროდა. ეს ისეთი სიჩქარეა, რომელიც დღემდე არცერთ სიგრძეზე მხტომელს არ განუვითარებია.

მსოფლიო ექს-რეკორდსმენი, ამჟამად მწვრთნელი, იგორ ტერ-ოვანესიანი განსაკუთრებულ ყურადღებას სწორედ სპორტსმენის სპრინტერული მონაცემების გაუმჯობესებას უთმობს და თვლის, რომ არეკნისას სისწრაფე მაქსიმალური უნდა იყოს.

სწორედ სისწრაფის საშუალებით შეძლო ვილნიუსის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტმა 7-მეტრიანი ზღვარის გადალახვა.

ვილმა ბარდაუსკენემ წვრთნა 14 წლისამ დაიწყო და იმ წელს 546 სმ-ზე გადახტა. მერე მის მიერ ნაჩვენები შედეგები ასეთია: 1968 წ. — 596 სმ; 1969 წ. — 612; 1970 წ. — 617; 1971 — 637; 1973 წ. — 634 (შემდეგ ორ სეზონში იგი სარბიელზე არ გამოსულა); 1976 წ. — 651 სმ; 1977 წ. — 682 სმ; 1978 წელს მსოფლიო რეკორდსმენი გახდა.

— ჩემს სკოლაში, როზალიმასში, ყველას ეგონა, რომ ციგურებით ან თხილამურებით მორბენალი გავხდებოდი. ამის საფუძველიც ჰქონდათ — თხილამურებით 3 კილომეტრზე რბენაში ლიტვის ჩემპიონობა მოვიპოვე... მძლეოსნობაში შემთხვევით მოვხვდი: როგორღაც ერთხელ მონაწილეობა მივიღე კურორტის ჩემპიონატში და 5,02 მეტრზე გადახტომით გავიმარჯვე. [illegible] ბარდაუსკენე. 1971 წელს [illegible] სსრ კავშირი — გდრ-ის [illegible] მატჩში გაიმარჯვა, მერე ვარშავაში გამართულ შეჯიბრებაში საბჭოთა კავშირის გოგონათა ახალი რეკორდი (637 სმ) დაამყარა. იმავე წელს ვილნიუსის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტი გახდა.

ვილმა ბარდაუსკენეს ცხოვრებაში (იგი 1953 წელს პოკრუისში დაიბადა. სიმაღლე — 173 სმ, წონა — 64 კგ) 1971 წელი განსაკუთრებული იყო. მარცხენა ფეხისა და ზურგის კუნთების ტრავმის გამო იძულებული ხდება ვარჯიშს თავი დაანებოს, თუმცა ეს ოჯახურმა პირობებმაც განაპირობა.

— ვაჟიშვილი ტომასი შეეძინა.

— შვილის გაჩენის შემდეგ ჩემი დამოკიდებულება სპორტთან მთლიანად შეიცვალა. ის იქცა ჩემი ცხოვრების მიზნად...

ყველა ამ მიზეზით გამოწვეულ ორწლიან პაუზაში, ვილმას ფეხიც დაუშოშმინდა და...

ბარდაუსკენემ კარგად იცის როგორ უნდა შეუთავსოს ერთმანეთს ოჯახი, სპორტი და თავისუფალი დრო. მის ოჯახში კი მუდამ სპორტული განწყობილება სუფევს.

ჟურნალი „დერ ლეიხტატჰლეტ“.

გერმანულიდან თარგმნა
ბ. ლამბაშიძემ.

# ექვსთა ტურნირი

დასასრული

ბით არის დაკომპლექტებული. რასაკვირველია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ვეფ-ს არ ჰყავს ლიდერი, წამყვანი კალათბურთელი. ასეთად ივარის ქვიგურსი ითვლება. ძალიან კარგად თამაშობს, აგრეთვე, ვალდის ვალტერისი. შედეგიანია ვილის კრიშტოპანსი. როგორც ჩანს, გუნდი თანდათან აღწევს თავს გაჭიანურებულ კრიზისს. ვეფი მონაწილეობდა პიარნუს ტურნირში და მეორე ადგილი დაიკავა. „კალევთან“ წაგების შემდეგ, მან დაამარცხა რტი ანგარიშით 114:91 და ულმობლად დაძაბული ბრძოლის შემდეგ წაგო ტურნირში გამარჯვებულ ლენინგრადის „სპარტაკთან“ — 105:106.

პიარნუს ტურნირში მეოთხე ადგილი დაიკავა მინსკის რტი-მ. ეს გუნდი ყველა მოწინააღმდეგისთვის კვლავ ძნელად დასაძლევი კოლექტივი იქნება.

და ბოლოს მასპინძელთა შესახებ. თბილისის „დინამომ“ ამას წინათ იმოგზაურა იუგოსლავიაში და მონაწილეობა მიიღო ორ ტურნირში (ლუბლიანასა და ნოვო მესტაში). ლუბლიანაში „დინამომ“ III ადგილი დაიკავა, ხოლო ნოვო მესტაში იგი II იყო.

მ. კალანდაძე.

## კალათბურთი

**სსრ კავშირის** კალათბურთელ ვაჟთა გუნდმა აშშ-ში ტურნეს მე-11 მატჩი გამართა ინდიანას შტატის გუნდთან. ანგარიშით 83:79 გაიმარჯვეს მასპინძლებმა. სამაგიეროდ, მორიგი შეხვედრა, რომელიც მათ გამართეს კანზასის უნივერსიტეტის გუნდთან საბჭოთა კალათბურთელებმა მოიგეს — 87:84.

### კომპოზიტორები — ოლიმპიადას

გაიმართა მოსკოვის 1980 წლის XXII ოლიმპიური თამაშებისადმი მიძღვნილი მუსიკალური ნაწარმოებების შექმნის საკავშირო კონკურსის I ტური. საკონკურსოდ თავიანთი ნაწარმოებები ყველა მოკავშირე რესპუბლიკიდან გამოგზავნეს.

კონკურსის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე, სსრ კავშირის კულტურის მინისტრის მოადგილე ვ. კუხარსკი პირველი შედეგებით კმაყოფილია. მუშაობას უკვე შეუდგა კონკურსის ჟიური, რომლის შემადგენლობაში არიან სსრ კავშირის კომპოზიტორთა კავშირის პირველი მდივანი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი, სოციალისტური შრომის გმირი ტ. ხრენიკოვი (თავმჯდომარე), ცნობილი კომპოზიტორები და დირიჟორები ა. პახმუტოვა, ს. ტუკალოვი, ე. ეშპაი, ი. სილანტიევი, რ. როჟდესტვენსკი, ე. დოლმატოვსკი, მ. მატუსოვსკი, ი. ბოგატიკოვი და სხვები.

ის საუკეთესო მუსიკალური ნაწარმოებები, რომლებიც პრემიებსა და დიპლომებს დაიმსახურებენ, თამაშების საზეიმო გახსნასა და დახურვაზე შესრულდება, აგრეთვე

## ხუთი რგოლის ემბლემით

შევა ოლიმპიადის კულტურულ პროგრამაში.

### ოლიმპიურ სოფელში

ოლიმპიური სოფლის კულტურული ცენტრი ჯერ კიდევ შენდება, მაგრამ XXII ოლიმპიადის მონაწილეთა საკონცერტო მომსახურების პროგრამა უკვე შედგენილია. ოლიმპიელები სოფელში ცხოვრების პირველივე დღეს შეიკრიბებიან 1200-ადგილიან საკონცერტო დარბაზში, სადაც მოუსმენენ პოპულარულ საბჭოთა არტისტებს ლ. ზიკინას, ი. სურჟიკოვს, ა. პუგაჩოვას, ვ. ტოლკუნოვას, მ. მაგომაევს...

ოლიმპიელების წინაშე თავიანთი ახალი საკონცერტო პროგრამებით გამოვლენ ლენინგრადის მიუზიკ-ჰოლი, ყირიმის ასსრ სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი, თოჯინების ცენტრალური თეატრი, საბჭოთა ცირკის ოსტატები, დიდი თეატრის მევიოლინეთა ანსამბლი. ოლიმპიელებს თავიანთ ხელოვნებას გააცნობენ მრავალრიცხოვანი პროფესიული და თვითმოქმედი საესტრადო კოლექტივები. „ოლიმპიადა-80“-ის მონაწილეთა სტუმრები იქნებიან ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდა პოეტები და კომპოზიტორები.

### მთარგმნელთა ათასეულები

მ. ტორეზის სახელობის მოსკოვის უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტი შეუდგა ოლიმპიადის მონაწილე სპორტული დელეგაციების, საზღვარგარეთელი სტუმრების, ტურისტების მომსახურე მთარგმნელებისა და გამყოლ-მთარგმნელების მომზადებას ინგლისურ, ფრანგულ, გერმანულ, იტალიურ, ესპანურ, პორტუგალიურ, ჰოლანდიურ, დანიურ, ნორვეგიულ და შვედურ ენებზე.

1980 წლისთვის ინსტიტუტი თამაშების საორგანიზაციო კომიტეტში, საკავშირო პროფსაბჭოში, ტელეხედვისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტში, „ინტურისტში“, „სპუტნიკში“ სამუშაოდ 1000-მდე მთარგმნელს გაგზავნის.

# წყალზე... უთხილამუროდ

**კანბერა.** ავსტრალიის დედაქალაქში ჩატარდა პირველი მსოფლიო ჩემპიონატი საკმაოდ უჩვეულო სპორტის სახეობაში (პირობითად შეიძლება ვუწოდოთ წყალსათხილამურო სპორტი უთხილამუროდ) — საათში 70 კმ სისწრაფით მიმავალ კატერს ჩაბმული სპორტსმენი მისრიალებს წყლის ზედაპირზე. იგი ყირაზე გადადის, წვება გულაღმა, დგება ცალ ფეხზე, ხტება ტრამპლინიდან, გადის სლალომის თავბრუდამხვევ დისტანციას. ამ ილეთების უმრავლესობა წყლის მოთხილამურეთა ჩვეულებრივი არსენალია. მაგრამ კანბერის ჩემპიონატში ყველაფერი ეს უთხილამუროდ კეთდებოდა. სპორტსმენები სრიალებდნენ წყალზე... ფეხშიშველა.

მსოფლიოს პირველ ჩემპიონატში მონაწილეობდნენ 11 ქვეყნის — ავსტრალიის, ახალი ზელანდიის, აშშ-ის, ინგლისის, საფრანგეთის, ჰოლანდიის, ირლანდიის, ბელგიის, ავსტრიის, იტალიისა და გდრ-ის სპორტსმენები. შეჯიბრების პროგრამაში იყო სლალომი, აკრობატული ვარჯიშები წყალზე და ხტომები სპეციალურად ვაჟებისათვის.

ავსტრალიელები „ცუდი“ მასპინძლები გამოდგნენ — გაიმარჯვეს შეჯიბრების ყველა სახეობაში.

— შედეგები მოულოდნელი არ იყო, — საკდესის კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა წყალსათხილამურო სპორტში მსოფლიო კავშირის პრეზიდენტმა ფილ სტერალდმა. — სპორტის ამ სახეობის განვითარებაში ავსტრალია ყველა ქვეყანას 10 წლით მაინც უსწრებს. მაგრამ ახლა სხვა ქვეყნებში, მათ შორის სსრ კავშირში, საკმაოდ განვითარდა წყალსათხილამურო სპორტი და მომავალ მსოფლიო ჩემპიონატში, რომელიც ორი წლის შემდეგ გაიმართება, მდგომარეობა შეიძლება შეიცვალოს.

(საკდესი).

## თბილისელი მოციგურავის წარმატება

**ვოსკრესენსკში** გაიმართა მოციგურავეთა შეჯიბრება — „ვოსკრესენსკის ციგურები“, რომელშიც წარმატებით იასპარეზა თბილისის 54-ე საშუალო სკოლის მოსწავლემ, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სპეციალიზებული სკოლის აღსაზრდელმა **ნ. მამუკაშვილმა, რომელმაც დაიკავა II ადგილი და შეასრულა სპორტის ოსტატის ნორმატივი.**

## შაში

**ბათუმში** მიმდინარეობს რუსულ შაშში საქართველოს ჭაბუკთა პირველობა, რომელშიც მონაწილეობს თბილისის, ბათუმის, სოხუმის, ფოთის, სამტრედიისა და სხვა ქალაქების 16 წარმომადგენელი.

7 ტურის შემდეგ ლიდერობა ხელთ იგდო ა. გუბელაძემ (ფოთი) — 6 ქულა. მას ნახევარი ქულით ჩამორჩებიან ნ. სვანიშვილი (თბილისი), დ. შავგულიძე (ფოთი) და ბ. კამიშევი (სამტრედია).

ტურნირი 27 ნოემბრამდე გაგრძელდება.

ზ. სვანიშვილი.

ბათუმი.

## ხელბურთი

**სსრ კავშირის** ვაჟ ხელბურთელთა გუნდმა საზღვარგარეთული ტურნეს პირველ მატჩში დაამარცხა შვეციის ეროვნული ნაკრები — 23:18 (11:10). გამარჯვებულთაგან ყველაზე შედეგიანი იყო ვ. ბელოვი — 6 ბურთი.

ოლიმპიური ჩემპიონები კიდევ ერთ მატჩს გამართავენ შვეციაში, შემდეგ კი 2 შეხვედრას ჩაატარებენ დანიაში.

რედაქტორი ა. ბასილაია.

**დოსააფის საქართველოს ცენტრალური კომიტეტი** ოსოავიაქიმის და დოსააფის მუზეუმისთვის აგროვებს ისტორიული დოკუმენტების, ექსპონატების და რელიქვიის შეგროვებას (მასალები არმიის, ავიაციისა და საზღვაო ფლოტის შესახებ).

**ჩვენი მისამართია:** თბილისი, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი № 53. დოსააფის საქართველოს ცენტრალური კომიტეტი, საორგანიზაციო-მასობრივი და სამხედრო პატრიოტული პროპაგანდის განყოფილება.

ტელეფონი: 22-65-34.

მხიარული ფანქრით



უსიტყვოდ.

ა. ოქროპირიძის ნახატები.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.
ტელეფონები: რედაქტორის — 99-66-14, 93-97-60; რედაქტორის მოადგილე — 99-68-47; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-62; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-51; [illegible] — 93-97-53; ქალაქის — 93-97-26, სამეცნიერო — 93-97-52; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-83-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-57.